პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 3 მარტი, 1944 წ. № 45 (6989). ფასი 20 კაპ.

მჯიდროდ დავიცვათ მომჭირნეობის რეჟიმი

მომჭირნეობის რეჟიმი, ყველგან და ყველაფერში უსასტიკესი ეკონომია — არა მარტო იცავს სახალხო დოვლათს განიავებისაგან და უნაყოფოდ ხარჯვისაგან, არამედ, ზრდის პროდუქციას, ავლენს ახალ მდიდარ შესაძლებლობებს წარმოების შემდგომი გაუმჯობესებისათვის!

1943 წელს ჩვენმა მრეწველობამ თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა. საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობის ბევრი მოწინავე მუშაკი ორდენებითა და მედლებით იქნა დაჯილდოებული. ეს მაღალი ჯილდო გვავალებს ახალ გამარჯვებებს მივაღწიოთ 1944 წელს.

სამამულო ომის დღეებში პარტიულმა ორგანიზაციებმა, ჩვენი მრეწველობის მუშაკებმა დიდი მუშაობა გასწიეს შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისა და ნაკლები მუშახელით პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის. ყოველივე ამან წითელ არმიას დამატებით მისცა დიდძალი იარაღი, საჭურველი და სხვა პროდუქცია მტრის გასანადგურებლად. პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების შემოქმედებითი ინიციატივა, რაციონალიზატორული წინადადებანი და გამოგონებანი წინ სწევენ წარმოებას, აუმჯობესებენ ტექნოლოგიურ პროცესს, ჰქმნიან პირობებს ახალი მძლავრი აღმავლობისათვის მრეწველობაში.

ცნობილია, რომ სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო ორგანიზაციების შემოსავალი და დაგროვება ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროებს წარმოადგენენ. ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ დამტკიცებული 1944 წლის ბიუჯეტის წარმატებით შესრულება არსებითად შათს მუშაობაზეა დამოკიდებული. 1944 წლის უდიდესი, თითქმის 250-მილიარდიანი ბიუჯეტი წარმატებით რომ შესრულდეს, საჭიროა თითოეულმა საბჭოთა ადამიანმა ანგარიში მისცეს თავის თავს, რომ ეს მის შრომაზეც არის დამოკიდებული, და იგი ვალდებულია სოციალისტური სამშობლოს წინაშე, წითელი არმიის წინაშე ყველაფერი გააკეთოს ფრონტის დასახმარებლად, მტრის გასანადგურებლად.

მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვა, რაც ომიანობის დროის მკაცრ კანონს წარმოადგენს, ფრონტისადმი დახმარებაა, ვინაიდან იგი ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, ნაკლები მუშახელითაც ჰქმნის პირობებს გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამიტომ, თუ ქარხანაში ან ფაბრიკაში დაბალია პროდუქციის თვითღირებულება, ეს ქარხნის ხელმძღვანელების, მთელი კოლექტივის კარგ მუშაობას და მომჭირნეობის რეჟიმისათვის წარმატებითს ბრძოლას გვიჩვენებს.

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში გასულ წელს მრავალი ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს. გარდა ამისა, მარტო რაციონალიზატორული წინადადებების გატარებით 1943 წელს მიღწეულ იქნა 1.400.000 მანეთის ეკონომია. სპილენძსაცეკ ქარხანაში შრომის ნაყოფიერება 16,7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 2,2 პროცენტით შემცირდა. ამასთან ერთად მიღწეულ იქნა ელექტროენერგიის ეკონომია 23,7 პროცენტით, ხოლო სათბობისა — 19,5 პროცენტით.

ცალკე მუშები, ომიანობის დროის სტახანოველები მომჭირნეობის რეჟიმის საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ. ბათუმის საორთქლმავლო დეპოს ორთქლმავლის შემანქანემ ამხ. ხუჭუამ 1.426 კილოგრამი სათბობი დაზოგა. ასეთი მაგალითები მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ როგორც რკინიგზის ტრანსპორტის, ისე მრეწველობის ყველა დარგიდან. მაგრამ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიის რეჟიმისათვის ბრძოლა კიდევ უფრო გაეაქტიურეროთ. საჭიროა თითოეულ მუშა-მოსამსახურეს, თითოეულ საბჭოთა ადამიანს ღრმად ჰქონდეს შეგნებული, რომ მომჭირნეობა ხელს უწყობს ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების განუხრელ ზრდას, და ამიტომ იგი მოვალეა თავის სამუშაო უბანზე მტკიცედ დაიცვას ომიანობის დროის ეს უცილობელი კანონი.

ტექნიკის წარმატებით გამოყენებას, მასალების უნარიანად, ყაირათიანად ხარჯვას ყოველთვის გვასწავლიდა და გვასწავლის **ლენინ-სტალინის** პარტია. ნაკადური მეთოდი, რომელმაც უდიდესი შესაძლებლობანი გადაგვიშალა წარმოების შემდგომი გაუმჯობესებისა და პროდუქციის გამოშვების გადიდების საქმეში, სწორედ ტექნიკის წარმატებითს გამოყენებას, წარმოების კულტურის შემდგომ ამაღლებას ნიშნავს. ნაკადი დიდად ამცირებს ხარჯებს, სპობს წუნს, ამავე დროს ზრდის შრომის ნაყოფიერებას, პროდუქციის გამოშვებას და ამაღლებს მის ხარისხს. ომიანობის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება.

ეკონომიის რეჟიმის წყაროები ბევრია. ასეთ წყაროს წარმოადგენს, მაგალითად, პროდუქციის ერთეულზე საბობის, ელექტროენერგიისა და მასალების ხარჯვის ნორმების დაცვა, ბრძოლა ამ ნორმების შემცირებისათვის. წარმოების მექანიზაცია, დეფიციტური მასალების არაფეფიციტური მასალებით შეცვლა, მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების, ოსტატების, ტექნოლოგების, კონსტრუქტორების რაციონალიზატორული წინადადებანი ხელს უწყობენ მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვას. ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, ამცირებენ თვითღირებულებას და ზრდიან პროდუქციის გამოშვებას ფრონტისათვის, წითელი არმიის დასახმარებლად.

წითელი არმიის გმირული შეტევის ისტორიულ დღეებში უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალის დიდი **სტალინის** ბრძანებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები თავდადებული ბრძოლით და შრომით სჯედენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე სრულ გამარჯვებას. მრეწველობის მუშაკების, წარმოების მეთაურების, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების, მუშათა კოლექტივების პატრიოტული შრომის ახალი აღმავლობა 1944 წელს დააჩქარებს მტრის სრულ განადგურებას და ჩვენი მართალი საქმის საბოლოო გამარჯვებას.

რსფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესიის გახსნა

მოსკოვი, 1 მარტი (საკდესი). გუშინ საღამოს 7 საათზე გაიხსნა რსფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესია.

სესიამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. დამტკიცება რსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტისა 1944 წლისათვის და დამტკიცება ანგარიშებისა რსფსრ 1940, 1941 და 1942 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

2. რსფსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა და რსფსრ საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

3. რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევნები.

პირველ სხდომაზე სესიამ მოისმინა რსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ა. ა. პოსკონოვის მოხსენება და რსფსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ა. ვლასოვის თანამოხსენება.

სუვოროვისა და კუტუზოვის ორდენების გადაცემა

2 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა მ. ი. კალინინმა სუვოროვის I ხარისხის ორდენი გადასცა საბჭოთა კავშირის მარშალს ს. მ. ბუდიონნის, კ. ე. ვოროშილოვს, ბ. მ. შაპოშნიკოვს, გენერალ-პოლკოვნიკ ა. ი. შჩერბაკოვს, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან უმაღლესი მთავარსარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, და გენერალ-ლეიტენანტ ა. ა. ედანოვს — საბრძოლო ოპერაციების უნარიანად და მამაცურად ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის.

იმავე დღეს ამხანაგმა მ. ი. კალინინმა სუვოროვის I ხარისხის ორდენი გადასცა საბჭოთა კავშირის გმირს—არმიის გენერალ კ. ა. მერეცკოვს, კუტუზოვის I ხარისხის ორდენი—არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ გ. ე. დეგტიაროვს, გენერალ-ლეიტენანტ ტ. ფ. შტიკოვს და კუტუზოვის II ხარისხის ორდენი—საბჭოთა კავშირის გმირს—საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ა. ფ. ბრენოვს, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან საბრძოლო ოპერაციების უნარიანად და მამაცურად ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. მ. ი. კალინინს რწმუნებულობის სიგელები გადასცა კანადის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-მა დ. უილგრესმა

1944 წ. 29 თებერვალს დღის 12 საათზე კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო კანადის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი დ. უილგრესი, რომელმაც თავისი რწმუნებულობის სიგელები გადასცა.

ბ-ნ დ. უილგრესს ახლდნენ საელჩოს მე-3 მდივანი ბ-ნი ა. სმიტი, საელჩოს მე-3 მდივანი ბ-ნი ა. მაკორდიკი და საელჩოს სამხედრო ატაშეს თანაშემწე პოდპოლკოვნიკი ბ. ოკულიჩი, რომლებიც ელჩმა ამხ. მ. ი. კალინინს წარუდგინა.

რწმუნებულობის სიგელების გადაცემის შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინი ესაუბრა ბ-ნ დ. უილგრესს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 მარტის ოპერაციული ცნობიდან

რამდენიმე დღის წინათ ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა ბრძოლით გადალახეს მდინარე ნარვა. ქ. ნარვის სამხრეთით გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა და მდინარის დასავლეთ ნაპირზე დაიკავეს პლაცდარმი ფრონტით 35 კილომეტრისა და სიღრმით 15 კილომეტრის სივრცისა. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტები ვიასსა, მუსტაპი, სურიასოკრუ, კიპარიკონა, სეზერგი, აუვერი, ხავაკინგუ, მეტსკიული, უხეკონა და გადახვრეს ნარვა-ტალინის რკინიგზა სარკინიგზო სადგურ აუვერეს რაიონში 15 კილომეტრზე ქალ. ნარვის დასავლეთით.

1 მარტის განმავლობაში ფსკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ნევადიცი, გოლშაია ჟადუნკა, რიაბოკა, ლანგმა გორა, ოკრეხოვიჩი, ოლისოკოვო, პერესვეტოკოვო, გოლოტოკოვო, სოსნოვიცი, ვასუტკინო, კაშინო და რკინიგზის სადგური რუსკინ. ჩვენმა ჯარებმა გადახვრეს ფსკოვ-იდრიცის რკინიგზა.

ნოვოსოკოლნიკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის დუპლი, ლიტოკოვო, კუნდრაკა, კუნიი, ზაბორიე, ლუნევკა.

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის ბატალი, პეკარი, სკულოვიჩი, აბუხოვო, ტიუკოვა, ვორონი, სელიუტი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

29 თებერვლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 16 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 9 თვითმფრინავი.

✤ ✤ ✤

2 მარტის ოპერაციული ცნობა

2 მარტის განმავლობაში ნარვის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი და გაიუმჯობესეს პოზიციები ქალ. ნარვის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პლაცდარმზე.

ფსკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც განდევნეს მოწინააღმდეგე მისი თავდაცვის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტიდან.

ოსტროვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს ლენინგრადის ოლქის რაიონული ცენტრი სოშიხინო, ლენინგრადელმა პარტიზანებმა, რომლებიც წითელი არმიის მებრძოლებთან თანამოქმედებენ, განდევნეს გერმანელები რკინიგზის სადგურ სოშიხინოს რაიონში მდებარე რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში პარტიზანებმა 500-ზე მეტი ჰიტლერელი გაელიტეს. განთავისუფლებულია 9 ათასი მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე, რომლებსაც გერმანელები მიერეკებოდნენ გერმანიის კატორღაში. მოწინააღმდეგეს წავართვეს 3.500 ცხენი და 3.000 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი.

• • •

ბალტიის ზღვაში ჩაძირულია მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 2.500 ტონა წყალწყვისა.

• • •

ლატვიელთა პარტიზანულმა რაზმმა „ვიესტერსმა“ რამდენიმე დღის განმავლობაში გაანადგურა გერმანელთა 4 სამხედრო სატელეფონო სადგური და ხელთ იგდო კავშირგაბმულობის 22 სპეციალური აპარატი. ამ რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა შეაღწია დასახლებულ პუნქტში და ცეცხლი წაუკიდა მოწინააღმდეგის საწვავის დიდ საწყობს. ლატვიელ პარტიზანთა რაზმმა „დაუგავამ“ გაანადგურა გერმანელთა კარნიზონი დასახლებულ პუნქტში, ამასთან ოსაპო 32 ჰიტლერელი.

• • •

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა მძიმე დამარცხება აგვმეს გერმანიის „სს“ სატანკო-გრენადერთა დივიზია „ნორდლანდს“, რომელიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 1944 წლის იანვარში ჩამოვიდა. ტყეები იღუნებიან, რომ დივიზიას უდიდესი ზარალი მოუვიდა. თვითმავალი ქვეშეხების დივიზიონის ეფრეიტორებმა გერინგერმა და პაუბიამ განაცხადეს: „ჩვენი დივიზიონი რუსეთს ჩამოვიდა იანვრის მეორე ნახევარში. ჩვენ მაშინვე ჩაგვაბეს ბრძოლაში, მაგრამ რუსეთის არტილერიის, ქვეითი ჯარისა და ტანკების წინააღმდეგ ჩვენ ვერაფერი გავაწყეთ, დივიზიონმა ექვსი თვითმავალი ქვეშეხი დაჰკარგა და უკან დაიხია. ბატარიებმა ვერაკი მოასწრეს ახალი პოზიციების დაკავება, რომ ჩვენს განლაგებაში რუსების ტანკები შემოეჭრნენ. თავზარდაცემული დივიზიონი გაიქცა, ამასთან მიატოვა 14 თვითმავალი ქვეშეხი. ჯარისკაცები, რომლებმაც გაქცევით უშველეს თავს, სავსებით დემორალიზებული იყვნენ. საღამოსათვის მივაღწიეთ ერთ სოფელს, სადაც ბევრი გერმანელი ჯარისკაცი აღმოჩნდა. განწყობილება ძალიან მძიმე იყო. შუაღამისას უეცრად გაისმა ყვირილი: „რუსების ტანკები“. ჩვენ ქუჩაში გამოვარდით და დავინახეთ ტანკები ტ-34, რომლებსაც რუსი მეავტომატენი მოჰყვებოდნენ. წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო, და ჩვენ ტყვედ დავნებდით. ამ დღეს ჩვენმა დივიზიონმა შესწყვიტა არსებობა“.

• • •

ქვემო ქვეყნდება აქტი იმ მზეცობის შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ჩაიდინეს კიევის ოლქის რაკიტნოს რაიონში: „საშინელი დანაშაული ჩაიდინეს ჰიტლერელმა ავაზაკებმა ჩვენს რაიონში. გერმანელების განდევნის შემდეგ სოფელ რაკიტნოში იპოვნეს 5 მასობრივი სამარე, რომლებშიც დამარხული არიან ფაშისტური ტერორის მსხვერპლნი. მეტად არასრული ცნობებით, გერმანელმა მტარვალებმა დახვრიტეს 600-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე. გარდა ამისა, ჰიტლერელებმა გერმანიის კატორღაში გარეკეს 1.267 მცხოვრები. ფაშისტმა დამბრალებლებმა აიკლეს და დაანგრიეს 28 სკოლა, დაწვეს ბიბლიოთეკები და სასკოლო ქონება. სოფელ ბაკუმოვკაში მასწავლებლები ნ. ბელოზოვიჩი და ლ. ბელოზოვიჩი ცდილობდნენ გადაერჩინათ სკოლის შენობა და ქონება. გერმანელებმა მზეცურად მოკლეს ეს მასწავლებლები და თხრილში გადააგდეს მათი გვამები. ჰიტლერელმა ბანდიტებმა დაანგრიეს და დაწვეს 340 საცხოვრებელი სახლი და 130-ზე მეტი სახელმწიფო და საზოგადო შენობა“.

აქტს ხელს აწერენ: ი. კოლომიეცი, ა. კოლისნიჩენკო, ლ. რიაბენკო, ნ. პავლიუკი, ნ. შოსტალი, ტ. რიადნინა, ექიმი პ. ბელიკოვი, მღვდელი გ. ცერერინი.

გამოიცა ვ. მ. მოლოტოვისა და ა. გ. ზვერევის მოხსენებანი

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოსცა ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში „თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ“. ბროშურა გამოცემულია ერთი მილიონი ცალი ტირაჟით.

იმავე დროს ბროშურად გამოვიდა სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენება კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე „სსრ კავშირის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1940, 1941 და 1942 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“. ბროშურა გამოცემულია 250 ათასი ცალი ტირაჟით. (საკდესი).

უმცროს ლეიტენანტ ი. დ. ცხოვრებოვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წითელი არმიის ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფს მიენიჭა **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცა **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“.**

მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა უმცროს ლეიტენანტს **ივანე დავითის-ძე ცხოვრებოვს.**

მიჭინგი ა. წურწუმიასათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების გამო

ცხაკაია, („კომუნისტის“ საკ. კორ.). ცხაკაიას მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას მათი თანასოფლელის მაიორ ალექსანდრე პეტუს-ძე წურწუმიასათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. ქალაქ ცხაკაიაში ჩატარდა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც ეახლნა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. ჯაკობიამ. მაიორ ალექსანდრე წურწუმიას ცხოვრებისა და ბრძოლების შესახებ მიტინგს უამბო საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანმა ამხ. ა. კილასონიამ.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ცხაკაიას რაიონის სამხედრო კომისარი ამხ. თოლორაია, კომკავშირის რაიკომის მდივანი ამხ. ზაზანია და სხვ. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ გმირის დედის კალისტინე წურწუმიას გამოსვლას. მან თავის პატრიოტულ სიტყვაში განაცხადა: ჩემი შვილი ალექსანდრე გმირულად დაიღუპა ვერაგ მტერთან ბრძოლაში. ჩემ შვილს ბავშვობიდან უყვარდა სამხედრო საქმე. საბჭოთა ხელისუფლება დაეხმარა მას გამხდარიყო გმირი მეომარი. მოგიწოდებთ ყველას,—განაცხადა მან დასასრულს,—იმუშაოთ ძალ-ღონის დაუზოგავად, სულ უფრო და უფრო მეტი დახმარება გავუწიოთ გმირ წითელ არმიას, რათა მან რაც შეიძლება მალე განადგუროს გერმანელი მხეცები. იბრძოლეთ ისეთივე თავდადებით, როგორც იბრძოდა ჩემი შვილი.

ს. კუჭავა

მამაცი ქართველი რკინიგზელი მებრძოლები

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორ.).

მამაცი წითელი არმიის ნაწილებს, რომლებიც კვალდაკვალ მისდევენ უკანდახეულ ფაშისტ ყაჩაღებს, მიჰყვებიან სამხედრო რკინიგზელები. ისინი აღადგენენ ფოლადის მაგისტრალებს, რომლებსაც მტერი მხეცურად ანგრევს უკანდახევის დროს. რკინიგზელ მებრძოლთა შორის კარგად არის ცნობილი თავდადებულ წითელარმიელთა—ხარაბაძის, ფიეტკრიშის დედის კალისტინე წურწუმიას გამოსვლა. მან თავის პატრიოტულ სიტყვაში განაცხადა: ჩემი შვილი ალექსანდრე მებრძოლად დაიღუპა ვერაგ მტერთან ბრძოლაში. ჩემ შვილს ბავშვობიდან უყვარდა სამხედრო საქმე. საბჭოთა ხელისუფლება დაეხმარა მას გამხდარიყო გმირი მეომარი. მოგიწოდებთ ყველას,—განაცხადა მან დასასრულს,—იმუშაოთ ძალ-ღონის დაუზოგავად, სულ უფრო და უფრო მეტი დახმარება გავუწიოთ გმირ წითელ არმიას, რათა მან რაც შეიძლება მალე განადგუროს გერმანელი მხეცები. იბრძოლეთ ისეთივე თავდადებით, როგორც იბრძოდა ჩემი შვილი.

ს. კუჭავა

მთელ ჩვენს ძალ-ღონეს მოვუსმართ მტრის განადგურების საქმეს

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის სახელზე მიღებულ წერილში ნ მსროლელ-ნაღმმტყორცნელთა სასწავლებლის კურსანტები, სერჟანტები და ოფიცრები, წითელი არმიის XXVI წლისთავთან და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXIII წლისთავთან დაკავშირებით, სწერენ:

„ქართველი ხალხის შვილები საბჭოთა კავშირის მომძე ხალხთა ყველა შვილთან ერთად, ასოულენენ რა თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე, იცავენ ჩვენს დიდ სამშობლოს. ფრონტის მთელ მანძილზე—ნარვიდან და ჩუდის ტბიდან შავ ზღვამდე. ბევრი ჩვენგანი, ახლანდელი კურსანტი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ვერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ახლა, სამხედრო სასწავლებელში მყოფნი, ჩვენ ვეუფლებით სამხედრო ცოდნას, რათა გავხდეთ სტალინის ეპოქის ღირსი ოფიცრები.

ჩვენ გვახსოვს 1942 წლის მრისხანე დღეები, როდესაც ფაშისტი კაციჭამიები სისხლით მოსვრილ ტორებს უპოტინებდნენ კავკასიას, რომ აიოხრებინათ აყვავებული ამირ-ალიასია, რომ ჩაექროთ ჩვენი წინაპრების ჯერი, რომელიც არ ჩამქრალა ათასეული წლების განმავლობაში. რომ შეებილწათ ჩვენი დიდების, ლოლების, დების ღირსება, რომ დაემონებინათ მზიური საქართველო. მაგრამ მტერმა სასტიკად აგო პასუხი თავისი ვერაგული ზრახვებისათვის. იგი ოკუბდებულ და განადგურებულ იქნა.

ქართველი ხალხი არასოდის არ დაიგიწყებს, გერმანელთა ბორტმოქმედებას, მათ თარეშს ქართველ ეროვნებებთან ერთად საქართველოში 1918 წლის პერიოდში.

ჯერ კიდევ პოეტი აკაკი წერეთელი ამბობდა, გერმანელები „იქ ფიქრობენ მოიმკონ, საიაც მათ არ უთესიათო“.

ბევრ ჩვენგანს ფრონტზე ყოფნისას თავისი თვალით ყოველ ნაბიჯზე ონახავს ჰიტლერელთა ორდოების მიერ ჩადენილ მხეცობათა ნაკვალევი.

მრისხანების წმიდა გრძნობა და შურისგების წყურვილი გვაწრთობენ ჩვენი სამშობლოს მოსისხლე მტერთან ბრძოლაში.

დიდმა სტალინმა მოგვიწოდა ვიყოთ სახელოვან წინაპართა ღირსნი და მამაცურად დავიცვათ საქართველოს ნაყოფიერი ნაკვეთი. ჩვენ ალვგაფრთოვანებს სახელგანთქმული ბელადის, მარშალ, ბაზეგარე პატრიოტის—გენერალ-ლეიტენანტის—და სხვათა სახე.

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების, წითელი არმიის შესანიშნავი გენერლების — ლესელიძის, ჩანჩიბაძის, მიქელაძის, თავიანთ ქალაძის, ჯალუთას და ჭრავალ სხვათა საგმირო საქმეები გვასწავლიან ჯარების წინამძღოლობის სტალინურ ხელოვნებას.

მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს საბჭოთა კავშირის გმირებს — გახოკიძეს, ადამიას, გეგეშიძეს, კანკავას, პირმისაშვილს, სტალინგრადის სახელოვან დამცველს პოდპოლკოვნიკ დიასამიძეს, რომლებიც თავიანთი საგმირო საქმეებით და ბრძოლაში უშიშრობით სახელს ეხვეშენ ქართველ ხალხს.

ჩვენი ოჯახიდან, ჩვენი სასწავლებლიდან გამოვიდა წითელი არმიის ბევრი ახალგაზრდა ოფიცერი და მათ შორის ქართველი ხალხის საკმაოდ ბევრი შვილი, რომლებიც სიცოცხლის დაუზოგავად იბრძვიან ჩვენი დიდი და სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის.

წითელი არმიის სახელოვანი გამარჯვებებით აღფრთოვანებულნი. წითელი არმიისა, რომლისაც დიდი ხანია ხელმძღვანელობს, ჩვენ მთელ ჩვენს ძალ-ღონეს და ენერგიას მოვახმართ იმას, რომ გავხდეთ წითელი არმიის მაღალკვალიფიციური ოფიცრები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებული ისტორიული კანონები მოკავშირე რესპუბლიკებში თავდაცვის სახალხო კომისარიატების და საგარეო ფორმირებათა შექმნის შესახებ ვავალებენ ეისწავლოთ ეზოლოდ ფრიდზე.

პირობას ვაძლევთ თქვენ, რომ მოიმატებთ ჩვენი პირადადობა, ჩვენი თავისთანობა და საყვარელი საბჭოთა ოფიცრობა.

სიკეთილი გერმანელ დამპყრობლებს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს XXIII წლისთავს!

გაუმარჯოს, ძმაო ერი წითელ არმიას!

ოფიცერ მეზობლებო ომი სტალინს!

კაპიტანი შვიდჩენკო, მაიორი სალასანარი, უფროსი ლეიტენანტი ფედოტოვი, ლეიტენანტი ერისთავი, ზემდგომი გურგენიძე, კურსანტი გუაჩიძე და სხვ.

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ნოვორჟევი

მოსკოვი არმია, 29 თებერვალი (საკდესის სპეც. კორ.). ჩვენი ჯარები მდინარე შელონის გადალახვის შემდეგ განაგრძობდნენ უკანდახეული მოწინააღმდეგის დევნას და ზედ მიადგნენ მტრის ახალ თავდაცვითს ზღუდეს. გერმანელები ვარაუდობდნენ შეეკავებინათ აქ ჩვენი ნაწილები. მაგრამ ჰიტლერელთა ყველა ვარაუდი ჩაიფუშა. შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ საბჭოთა ჯარებმა ჩრდილო-დასავლეთით დაიკავეს ქალაქ პორხოვი, ხოლო სამხრეთით — რკინიგზის დიდი კვანძი პუსტოშკა. ამ დარტყმით დარღვეულ იქნა მოწინააღმდეგის თავდაცვის მთელი სისტემა.

განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლები გაჩაღდა ნოვორჟევის აღმოსავლეთით — ბეჟანიცის რაიონში, სადაც თავს იყრის პორხოვიდან, ნოვორჟევიდან და სხვა დიდმნიშვნელოვანი პუნქტებიდან მომავალი გზები. ჩვენმა ნაწილებმა მარჯვე მანევრით შემოუარეს მტრის სამაგრეებს და სამი მხრიდან ერთდროული დარტყმით დაიკავეს ბეჟანიცა. ნოვორჟევის კარიბჭე გაღებულ იქნა. ამ ბრძოლებში გერმანელებმა ბევრი ქვეშეხი და ტანკი დაკარგეს.

საბჭოთა ნაწილებმა განავითარეს წარმატება და ბრძოლებით მიიწევდნენ ნოვორჟევისაკენ გზატკეცილით. გერმანელებმა, რომლებსაც ეშინოდათ, რომ ისინი ჯობში არ ვადაგვეყარნა, გზატკეცილზე მტკიცე თავდაცვა შეჰქმნეს და მთელი ძალღონით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ იგი. ამ მაგისტრალის თითქმის ყველა განშტოებას და ჭის იქით მდებარე დასახლებულ პუნქტებს მტერმა შემოავლო მავთულხლართები, მათს მისადგომებს იფარავდა დანაღმული არეები და ძელმიწური საცეცხლე წერტები. გზატკეცილის გაყოლებით გავლებული სანგრების მიწაყრილები ბეტონ ადგილას ცემენტითა და ქვით იყო ამოშენებული. წინააღმდეგობის ამ კვანძებზე დაყრდნობით გერმანელები ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩვენი ჯარების შეტევა ნოვორჟევის შორეულ მისადგომებზე.

წითელი არმიის მოძრავი რაზმები ავიწრობდნენ ჰიტლერელებს, გადალახეს მდინარელსტა და გაიჭრნენ ნოვორჟევისთან დასახლებულ პუნქტ სლობოდას რაიონში. გერმანელებმა აქ გააძლიერეს წინააღმდეგობა. მოწინააღმდეგემ ჯერ კიდევ 1943 წლის გაზაფხულზე პირეკა ქალაქ ნოვორჟევში გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა და დღეადღემ აგებდა სიმაგრეებს. ჰიტლერელებმა ნოვორჟევეს გარს შემოარტყეს სანგარსასვლელებიანი ღრმა თხრილების ქსელი. შემოავლეს მათ მავთულხლართი, ხოლო მისადგომები ხშირად დანაღმეს. ქალაქის წინ რამდენიმე მავთულღობურა იყო, ხოლო თითოეული ჭათგანის იქით იყო თხრილები, ძელმიწური საცეცხლე წერტები, დანაღმული არეები. ქალაქში ქვიანის სახლები მოწყობილი იყო ჭიჩის ბრძოლების საწარმოებლად.

ნოვორჟევის მისადგომებზე წარმოებულ ბრძოლებს მეტად მწვავე ხასიათი ჰქონდა. გერმანელები ავიაციის, ტანკების. ყველა არტილერიისა და თვითმავალი ზარბაზნების საფარ

პარტიული ცხოვრება

ქალაქ სოხუმის პარტიული აქტივის კრება

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 29 თებერვალს შესდგა ქალაქ სოხუმის პარტიული აქტივის კრება, რომელზაც განიხილა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის შედეგები. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების მდივანი ამხ. ა. მგელაძე.

მოხსენებელი ფართოდ შეჩერდა იმ უდიდეს სახელმწიფოებრივ გარდაქმნათა მნიშვნელობაზე, რომლებიც ტარდება ჩვენს ქვეყანაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ამხ. ა. მგელაძე ფართოდ შეჩერდა ქალაქ სოხუმისა და მთელი აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკული მუშაობის საკითხებზე; კერძოდ, აღნიშნულ იქნა მთელი რიგი წარმატებანი მოსახლეობის სამხედრო მომზადების, წითელი არმიისათვის დახმარების გაძლიერების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში და მასთან გამომჟღავნებულ და გაკრიტიკებულ იქნა არსებითი ნაკლოვანებანი.

აფხაზეთის მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ წარმატებით გაართვეს თავი გასულ წელს მათ წინაშე მდგარ ამოცანებს. ისეთმა მოწინავე საწარმოებმა, როგორიც არის ტყვარჩელის ბობოელადგური, ადგილობრივი მრეწველობა, ბაქრაძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატი და სხვ., დიდი გადამეტებით გაანაღდეს გასული წლის საწარმოო დავალებანი. ამავე დროს ჯერ კიდევ მოიძოვებიან ისეთი საწარმონი, რომლებიც გეგმების შესრულებისათვის არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტი, სადაც დღემდე გრძელდება ჩამორჩენა. შახტის პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ შესძლო სათავეში ჩასდგომოდა მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლის საქმეს. შახტტრესტი ჯერ კიდევ მოუქნელად მუშაობს. მომხსენებელი ფართოდ შეჩერდა სოფლის მუშაკთა წინაშე მდგომ ამოცანებზე და გამოსთქვა მტკიცე რწმენა, რომ აფხაზეთის ბოლშევიკები სტალინურად განახორციელებენ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის გადაწყვეტილებებს.

ამხ. ა. მგელაძის მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი. აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ი. ტანიამ ილაპარაკა ახალ სახელმწიფოებრივ გარდაქმნების მნიშვნელობაზე, ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებაზე და სხვ.

ლ. პ. ბერიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. რ. წულუკიძემ ილაპარაკა ამ ისტორიულ გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდის აუცილებლობაზე და ინსტიტუტის მეცნიერი ძალების მუშაობის შემდგომ გაუჯობესებაზე.

— აფხაზეთის საკოლმეურნეო სოფელმა თვალსაჩინო დახმარება გაუწია ფრონტსა და სამშობლოს, — განაცხადა თავის გამოსვლაში აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახ. კომისარმა ამხ. გ. ბერულავამ. — იგი წარმატებით ემზადება 1944 წლის გაზაფხულისათვის. წელს განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ბრძოლა ჩაის, თამბაქოს, კიტრუსების, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობისათვის. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ ჩამორჩებიან მთელი რიგი რაიონები. ჩაის გადამბარვის დარგში სერიოზული ჩამორჩენა აქვს გუდაუთის რაიონს, სადრენაჟო ჭალის რემონტის საქმეში — სოხუმის რაიონს.

აქტივი ვერ დააკმაყოფილა სოხუმის სამრეწველო კომბინატის მმართველის ამხ. გ. ურიდიას გამოსვლამ. ეს კომბინატი ჩამორჩენილია საქონლის გამოშვების ასორტიმენტის დარგში. ფონდი ცდილობდა საერთო ფრაზებით დაკმაყოფილებულიყო.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ი. ჭოჭუა, ქალაქის საბჭოს პარტიკომიტეტის მდივანი ძ. გაბუნია, აფხაზეთის ასსრ განათლების სახ. კომისარი ი. დარსანია, ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარი ა. ლოგუა, საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ვ. კალანდია და სხვ. — სულ 12 ამხანაგი.

აქტივმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია ამხ. ა. მგელაძის მოხსენების გამო და მისალმების დეპეშა გაუგზავნა ხალხთა ბელადსა და გენიალურ მხედართმთავარს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ **ი. სტალინს.**

ზ. ფერკვილაძე

ფართოდ გავშალოთ საგიჟვაციო-მასობრივი მუშაობა სოფლად

წითელწყაროო („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონში ბოლშევიკური აგიტაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას სერიოზული ყურადღება ექცევა.

რაიონში არსებობს 25 აგიტკოლექტივი, რომლებიც 492 აგიტატორს აერთიანებენ. აგიტატორთა უმრავლესობა კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში ეწევა აგიტაციას. აგიტკოლექტივები ყოველმხრივ უწევენ დახმარებას აგიტატორებს, აწოწმებენ მათს საქმიანობას და რჩევა-დარიგებას აძლევენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოაწყონ შემდგომში მუშაობა. კარგად მუშაობენ ამ მხრივ ზემო მაჩხაანის (ხელმძღვანელი ა. მენთეშაშვილი), არბოშიკის (ხელმძღვანელი ა. ზოსაშვილი), უზუნდრის (ხელმძღვანელი ა. ტუბაშვილი) და სხვ. აგიტკოლექტივები. ამ უბნების აგიტატორები ე. მჭედლიშვილი, ე. ბალაშვილი, ზ. ტუხაშვილი, თ. ჯანიაშვილი, პ. რობიტაშვილი, ლ. ჯამსასიშვილი, თ. რობიტაშვილი წინასწარ გულმოდგინე მომზადების შემდეგ სისტემატურად ეწევიან აგიტაციას კოლმეურნეობებსა და მოსახლეობაში, იყენებენ თვალსაჩინოებას, ბეჭდურულ ლიტერატურას. თავიანთ საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ სამეურნეო საკითხებს, ახდენენ მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილების განზოგადოებას, რაც ეხმარება კოლმეურნეობებს ვალდებულებათა შესრულებაში. ამეამად აგიტატორები თავიანთ საუბრებში ძირითად ყურადღებას საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხებს უთმობენ.

საჭირო ყურადღება ეთმობა რაიონის მშრომელთა შორის საპროპაგანდო მუშაობას. გასული წლის იანვრიდან დღემდე სოფლად მოეწყო 438 ლექცია, მოხსენება და საუბარი სამამული ომის მიმდინარე მომენტსა და საერთაშორისო მდგომარეობაზე. ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს 19.711 კაცი დაესწრო. მოხსენებებს კითხულობენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

კოლმეურნეები დიდი ინტერესით სწავლობდნენ და სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. სტალინის წიგნის შესასწავლად რაიონში შეკრებილია 35 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 803 მსმენელი. რაიონის მშრომელთა უმრავლესობა დამოუკიდებლად სწავლობს ამხანაგ სტალინის წიგნს.

მოწოდების სიმაღლეზე დგას საგიტაციო-მასობრივი მუშაობა იქ, სადაც ამ საქმეს კარგად ხელმძღვანელობენ პარტიული ორგანიზაციები. ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (პარტორგანიზაციის მდივანი ვ. სეხნიაშვილი), სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა „შრომის“ (მდივანი ზ. ყოჩიაშვილი) და სხვა პარტიული ორგანიზაციები ხშირად იხილავენ პარტიულ კრებებზე საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებს, სახავენ ღონისძიებებს და ზრუნავენ მათი განხორციელებისათვის.

მიღწევებთან ერთად რაიონს საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დარგში სერიოზული ნაკლოვანებებიც აქვს. ზოგიერთი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობს საგიტაციო-მასობრივ მუშაობას. სოფ. ზემო ქედის აგიტკოლექტივმა (ხელმძღვანელი ნ. გოგოლაშვილი) ამ ბოლო ხანებში მუშაობა შეასუსტა. იშვიათად იწვევენ აგიტსემინარებსა და აგიტატორთა თათბირებს. სოფ. ზემო მაჩხაანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (პარტორგანიზაციის მდივანი ლ. მაძღარაშვილი) სამი თვეა ყდლის გაზეთი არ გამოსულა. საგაზეთო ვიტრინა ხშირად ცარიელია, არ აკრავენ გაზეთებს. ასევე დიდი დაგვიანებით გამოდის და საერთოდ სუსტად მუშაობს კედლის გაზეთები სოფ. მირზაანის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზაში“ და სხვ.

რაიონის პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა კოლმეურნეობებში, ყველა ძალები დაძაბონ საგაზაფხულო თესვის მომზადებულად შეხვედრისა და წარმატებით ჩატარებისათვის.

შ. მოლაშვილი

მძლავრი სანარმოო აღმავლობა ჭიკულის მაღაროებში

ტყიბული („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). გმირი წითელი არმიის XXVI წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის XXIII წლისთავისათვის მზადების დღეები ტყიბულის მაღაროებში და შახტებში აღინიშნა ქვანახშირის ამოღების მძლავრი აღმავლობით.

სტალინის სახელობის მაღაროში თებერვლის 25 დღის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით ამოიღეს 345 ტონა ქვანახშირი. მაღაროში გეგმას ყველა ბრიგადა, ცალკა და უბანი გადაჭარბებით ასრულებს, მოწინავე უბანი ამხ. პ. ნანიკაშვილის ხელმძღვანელობით ყოველდღიურად 110-120 ტონა ქვანახშირს იძლევა.

ლენინის სახელობის მაღაროში 4 უბნიდან გეგმას ასრულებდა მხოლოდ ორი — ფანრულიძისა და ჩიტიშვილის უბნები. ამ დღეებში გარღვევას თავი დაანწიეს ყუბანეიშვილისა და ვაშაკიძის უბნებმაც. ახლა მაღაროს ყველა ცალკა და უბანი გეგმის გადაჭარბებით იძლევა ქვანახშირს. 21, 22 და 23 თებერვალს ყუბანეიშვილისა და ვაშაკიძის უბნებმა გეგმა შეასრულეს 146, 160, 206,6 პროცენტით. ფანრულიძისა და ჩიტიშვილის უბნები 140-150 პროცენტით ასრულებენ გეგმას. გამოვიდა რა გარღვევიდან, ლენინის სახელობის მაღარო გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად იძლევა 50-80 ტონა ქვანახშირს.

ქვანახშირის ამოღების საქმეში კიდევ უფრო მძლავრ საწარმოო აღმავლობას მიაღწია დასავლეთ შახტის მუშათა კოლექტივმა. ამ შახტში გეგმას სისტემატურად და გადაჭარბებით ასრულებს პირველი და მესამე უბანი. პირველმა უბანმა სამთო ტექნიკოს ამხ. შ. შოთაძის ხელმძღვანელობით უკვე 25 თებერვალს შეასრულა თვიური გეგმა. ამხ. შოთაძის უბანი ბოლშევიკურად ანალიზებს სოციალისტიკურებით ნაკისრ ვალდებულებებს. მეხუთე უბანი გერონტი გორგაძის ხელმძღვანელობით და კომკავშირული უბანი დავით ღობოროკვინიძის ხელმძღვანელობით შესანიშნავად დაწინაურდნენ. ამ უბნების ჰუშაობის გაუმჯობესებით შახტი დაწინაურდა ქვანახშირის ამოღების გადიდების საქმეში. უკანასკნელ ხუთ დღეში შახტში გეგმის გადამეტებით ამოღებულია 140 ტონა ქვანახშირი, რითაც თებერვლის 25 დღის გეგმა შესრულებულია 103,5 პროცენტით. ცალკე დღეებში — მაგალითად, 23 და 24 თებერვალს — შახტმა გეგმა 110-118 პროცენტით შეასრულა.

მაღაროებისა და შახტების ჰუშათა კოლექტივების სტახანოვური მუშაობის შედეგად მიღწეულია ქვანახშირის ამოღების მძლავრი აღმავლობა მთლიანად ტრესტის მასშტაბით. ტრესტი ახლა 110-111 პროცენტით ასრულებს ქვანახშირის ამოღების საღღეღამისო დავალებებს.

მაღალი საწარმოო ჰაჩეენებლებით შეხვდნენ რა ამხანაგ სტალინის 1944 წლის 23 თებერვლის ისტორიულ ბრძანებას, ტყიბულის მაღაროებისა და შახტების მომუშავენი ყველა ზომას ღებულობენ ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისათვის.

დ. საბელაშვილი

ახალგაზრდა რეჟისორთა რესპუბლიკური კონფერენცია

28 თებერვალს დაიწყო ახალგაზრდა რეჟისორთა საკავშირო დათვალიერების მონაწილეთა შემოქმედებითი კონფერენცია, რაც ხუთ დღეს გასტანს.

კონფერენციის პირველი სხდომა გაიხსნა საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის ამხ. პ. კანდელაკის მოხსენებით ახალგაზრდა რეჟისორთა საკავშირო დათვალიერების შედეგებზე საქართველოში. დათვალიერებაში თითქმის ყველა ახალგაზრდა რეჟისორი ჩაება. მათგან სპექტაკლები ფეიჩვენეს რეჟისორებმა: ტოვსტონოგოვმა (გრიბოედოვის თეატრი, „ლოლუშკა“), ბილალოვმა (აზერბაიჯანული თეატრი, „მაჰმატი“), ფიდანიანმა (ზოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი, „ხათაბალა“) წეროძემ და ჟორდანიამ (ზოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი, „ვალია სოკოლოვა“ და „ჩექმებიანი კატა“), ჩაბიევამ და კაბიბოვამ (ტანლინრის ოსური თეატრი, „ნართი ბათრაზ“ და „მელოდე“), ო. ალექსიშვილმა (გორის თეატრი, „საპატარძლო აფიშით“), ლორთქიფანიძემ (ფოთის თეატრი, „მელოდე“), ახალაძემ (ბახარაძის თეატრი, „ჩემი შვილი“), ჯალალანიამ (ჩოხატაურის თეატრი, „სამშობლო“), კაკაბაძემ (ცხაკაიას თეატრი, „უნიადაგონი“), ტყაბლაძემ და ვაშაძემ (ჭიათურის თეატრი „მკაცრი დღეები“ და „ოქტომბერის ასული“), ბოჭორიშვილმა (თელავის თეატრი, „მარკიტანტკა სოგარეტ“), არუთინოვმა (ლაგოდეხის თეატრი, „და-ძმა“). რეჟისორები ელენტი (ზათუმი), ვარძიგულიანი (ზოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი), ბეკიკანი (თბილისის სომხური თეატრი), ოყრეშიძე (ზესტაფონი), ტაბლაშვილი (მარჯანიშვილის თეატრი), მებურნუთოვი (სტალინირი) თუმცა ჩაებნენ დათვალიერებაში, მაგრამ სპექტაკლები ვერ გვიჩვენეს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დათვალიერება დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. სპექტაკლები, მცირე გამონაკლისს გარდა, მაღალ მხატვრულ დონეზე იდგა და დათვალიერებელმა კომისიამ მათი დიდი უმეტესობა მოიწონა.

კონფერენციამ პირველ დღეს მოისმინა ვ. ყუშიტაშვილის და შ. კოლასანიძის მოხსენებები დათვალიერებული სპექტაკლების შესახებ. საღამოს კონფერენციის მონაწილეებმა ნახეს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ახალი დადგმა „ორჯონიკიძის ხმალი“.

კონფერენციის მონაწილენი სპექტაკლებს ნახავენ აგრეთვე რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის, პუშკინიდის თეატრებში, მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში და შემოქმედებითი შეხვედრები ექნებათ ა. ხორავასთან, ა. ვასაძესთან, შ. ღამბაშიძესთან, დ. ძნელაძესთან, ბ. გამრეკელთან, ა. თაყაიშვილთან და კ. შახბაზოვთან.

დეკეთეგი

ბენეშის გამოსვლა

ლონდონი, 29 თებერვალი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ ბენეში 29 თებერვალს ლონდონში გამოვიდა სიტყვით, რომელშიც აღნიშნა, რომ „გავა ცოტა ხანი და კონტინენტზე მეორე ფრონტი შეიქმნება“.

„როდესაც, — განაგრძო ბენეშმა,—შეჭრა დაიწყება და რუსეთის ფრონტი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიას მიუახლოვდება,—ეს კი შეიძლება ძალიან მალე მოხდეს,—ჩვენი თანამემამულეები აჯანყდებიან და მონაწილეობას მიიღებენ ბრძოლაში ისევე, როგორც ახლა ამას აკეთებენ პოლონეთის, იუგოსლავიისა და საფრანგეთის პატრიოტები“.

შეეხო რა თავის გამგზავრებას შეერთებულ შტატებსა და რუსეთში, პრეზიდენტმა განაცხადა: „წარსულს ჩაბარდა ის დღეები, როდესაც საბჭოთა რუსეთი ევროპის საქმეებიდან ჯამორიცხული იყო. ვიქონიოთ იმედი, რომ ეს დღეები აღარასოდეს არ დაბრუნდება“.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 29 თებერვალი (საკდესი) როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 29 თებერვალს ამერიკის მძიმე ბომბდამშენებმა დაბომბეს თვითმფრინავებისა და მოტორების წარმოების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი გერმანიაში—ქალაქი ბრაუნშვაიგი. როგორც ცნობილია, ბრაუნშვაიგმა გასულ კვირაში უკვე ორჯერ განიცადა დაბომბვა.

29 თებერვალს ღამით „მოსკიტო“ ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს სხვადასხვა ობიექტებზე დასავლეთ გერმანიაში.

ლონდონი, 2 მარტი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 1 მარტს ღამით ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ შტუტჰარტს. ქალაქში დიდი ხანძრები გაჩნდა. „მოსკიტოს“ მარკის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მიუნხენზე, აგრეთვე ობიექტებზე საფრანგეთსა და ჰოლანდიაში.

გერმანიის წინააღმდეგ ინგლისის ავიაციის ოპერაციებში 1 მარტს ღამით მონაწილეობას იღებდა 600-ზე მეტი თვითმფრინავი.

ამერიკის ბომბდამშენებმა 2 მარტს დღისით დაბომბეს მოწინააღმდეგის ობიექტები სამხრეთ-დასავლეთ გერმანიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში.

ავიაციის ზარალი ერთი კვირის განმავლობაში

ლონდონი, 1 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ერთი კვირის განმავლობაში—22-დან 28 თებერვლამდე—გერმანიაში წარმოებულ დიდ საჰაერო ბრძოლებში და ინგლისზე თავდასხმებისას გერმანიის ავიაციამ 700-ზე მეტი თვითმფრინავი დაკარგა. ამერიკის ავიაციის ზარალია 382 მძიმე ბომბდამშენი და 37 ავიაგამანადიგურებელი. ინგლისის ავიაციამ დაკარგა 86 მანქანა.

ამერიკის ჯარების გადასხმა საამირბაროს კუნძულებზე

ლონდონი, 1 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის ჯარები გადასხდნენ საამირბაროს კუნძულებზე (ბისმარკის არქიპელაგის ჩრდილოეთით) და მთლიანად დაიკავეს კუნძული ლოს ნეგროსი. გადასხდომის დროს იაპონელებმა ვერ შესძლეს რაიმე წინააღმდეგობა გაეწიათ ჯარში ან ზღვაზე.

ტოკიო, 1 მარტი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, იაპონიის საზღვაო ქვეითი ჯარი ამჟამად მძიმე ბრძოლებს ეწევა ამერიკის ჯარებთან, რომლებიც საამირბაროს კუნძულებზე გადასხდნენ.

საომარი მოქმედება ინდოეთში

ლონდონი, 1 მარტი (საკდესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ ამერიკის მეხუთე არმიის ფრონტზე მოწინააღმდეგე 29 თებერვალს ძლიერ აწვებოდა პლაცდარმის ცენტრალურ უბანზე. მეხუთე არმიის მთავარ ფრონტზე ღრუბლი სიწყნარე ჩამოვარდა. ინგლისის მე-8 არმიის მზვერავმა ნაწილებმა მოახდინეს ღრმა დაზვერვა ბრძოლით.

გუშინ მოკავშირეთა ავიაციამ დაბომბა ვიტერბოს აეროდრომი, სარკინიგზო ნაგებობანი ჯულიანოვაში, მოწინააღმდეგის ჯარების თავმოყრის პუნქტები და პოზიციები ანციოს რაიონში, ავრეთვე მოწინააღმდეგის გემები იუგოსლავიის სანაპიროსთან.

ლონდონი, 2 მარტი (საკდესი). მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იტალიაში იუწყება, რომ მოკავშირეთა ჯარებმა ანციოს პლაცდარმზე მოიგერიეს მოწინააღმდეგის ძლიერი იერიში ფრონტის ცენტრალურ უბანზე. გრძელდება მძიმე ბრძოლები. მოწინააღმდეგე აწვება პლაცდარმის მთელ ხაზს.

ინგლისის მე-8 არმიის ფრონტზე და ამერიკის მე-5 არმიის მთავარ ფრონტზე გრძელდება პატრულთა მოქმედება.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 1 მარტი (საკდესი). იუგოსლავიიდან მიღებული ცნობების თანახმად, გლინა-პეტრინის ფრონტის უბანზე სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები ეწევიან ჯაფარებულ ბრძოლებს გერმანელთა და უსტაშთა ნაწილებთან, რომლებიც ცდილობენ გაიჭრან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე. შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებს ჰერცეგოვინაშიც. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა აქ უკანასკნელ ბრძოლებში დაღუტეს 200-მდე ჰიტლერელი, მათ შორის 41 ოფიცერი, და დასჭრეს მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს ტყვეები და დავლა.

სლოვენიაში გრძელდება სასტიკი ბრძოლები ფრონტის უბანზე გორიცასთან და მარიბორის რაიონში, სადაც ოკუპანტები შეტევაზე გადავიდნენ. მტერს დიდი ზარალი ეოსდის.

საბჭოთა სიძნელეთა გამწვავება გერმანიაში

ჟენევა, 1 მარტი (საკდესი). შვეიცარიული გაზეთი „სენტ-გელერ ტაგბლატი“ სწერს, რომ გერმანიის მოსახლეობისათვის სხვადასხვა პროდუქტების გაცემის ნორმები მხოლოდ ქალაქზე არსებობს. პრაქტიკულად მოსახლეობას დაწესებული ნორმის მიხედვით მხოლოდ პური ამორავგებენ. მაგრამ მისი ხარისხი იმდენად დაბალი გახდა, რომ არის მასობრივი მოწამლვის შემთხვევები. უკანასკნელ ხანს მოსახლეობას ოუკრძალეს რაფსის ფოჩინა და თალგამურის ფოთლის ხმარება. პიროტყვის საკვებად, ვინაიდან ეს საკვები „ომიანობის დროის ბოსტნეულად“ არის გამოცხადებული.

გაზეთი აღნიშნავს, რომ სისტემატური შიმშილი ხელს უწყობს მოსახლეობის სწრაფ დაუძლურებას, რომელიც უიმისოდაც იღლება მძიმე შრომით. არის შემთხვევები, როდესაც მუშები ეცემიან დაუძლურებისაგან და ისინი ნახევრად მკვდრები მიაქვთ.

წყალში ჩაუშვეს ამერიკის საჰაერო გემი „სსრ კავშირის გამარჯვება“

ნიუ-იორკი, 2 მარტი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი უოლშინგტონიდან (კალიფორნიის შტატი) გადმოგვცემს, 26 თებერვალს წყალში ჩაუშვეს „ვიქტორის“ ტიპის სატვირთო გემი, რომელსაც საბჭოთა კავშირის პატივსაცემად უწოდეს „სსრ კავშირის გამარჯვება“.

უნგრეთის მმართველი ხროვა შეშფოთებულია უკმაყოფილების ზრდით უნგრეთში

სტამბოლი, 2 მარტი (საკდესი). უნგრეთის მმართველი ხროვა მეტად შეშფოთებულია უნგრეთში მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილების ზრდით. როგორც გაზეთი „პესტერ ლოიდი“ იუწყება, უნგრეთის პროპაგანდის შინისტრმა ანტალმა და მისმა თანაშემწეებმა საპროპაგანდო მგზავრობა მოაწყეს უნგრეთში „სიმშვიდის დამყარების“ მიზნით. უნგრეთის მთელ რიგ ქალაქებში მოწყობილ კრებებზე ანტალი ემუდარებოდა უნგრელებს „გაერთიანდითო“ და, როგორც გაზეთი სწერს, „მოუწოდებდა გაერთიანებული ძალებით ვებრძოლოთ იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ყოველგვარ საშუალებით ძირი გამოუთხარონ შინაურ ფრონტს“. „გადამწყვეტ ეტაპს, — განაცხადა ანტალმა, — მიიღწია არა მარტო ომმა ფრონტებზე, არამედ ნერვების ომმაც უნგრეთში“.

ამას წინათ, როგორც თვითვე გაზეთი იუწყება, სამხედრო საქმეთა პარლამენტის კომისიის სხდომაზე საომარი მდგომარეობის მეამბოხეთა ოჯახებზე ბრძოლაში ისევე, როგორც ახლა ამას აკეთებენ პოლონეთის, იუგოსლავიისა და საფრანგეთის პატრიოტები“.

ბენეშის პასუხი

გაზეთ „რეინოლდს ნიუსის“ დიპლომატიურ მიმომგზავლელს

ლონდონი, 22 თებერვალი (საკდესი). ინგლისურ გაზეთ „რეინოლდს ნიუსის“ დიპლომატიურმა მიმომხილველმა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ბენეშს ჰისკა მთელი რიგი კითხვები და მიიღო მათზე შემდეგი პასუხი.

კითხვა: გერმანიის პროპაგანდა შინაგანი მოხმარებისათვის აცხადებს, რუსები გამოფიტულნი არიან და გერმანიის ახალი შეტევის დრო დადგებაო. ხომ არ გეჩვენათ თქვენ, როდესაც მოსკოვში იყავით, რომ რუსეთი ახლოა გამოფიტვასთან?

პასუხი: მე შემიძლია მხოლოდ სასაცილო ეუწოდო გერმანელების ასეთ პროპაგანდას. ვინც უნდა დაპყოს მოსკოვში თუნდაც ორი კვირა, ისე რომ რუსეთის ხელმძღვანელების ხახვისა და მათთან საუბრის შესაძლებლობაც კი არ ჰქონდეს, შესძლებს საკუთარი თვალით დაინახოს, რამდენად შორს არის სსრ კავშირი გამოფიტვისაგან. რწმენა, თაეის იმედი, საკუთარი ძალის შეგნება, აგრეთვე საუცხოო ფიზიკური მდგომარეობა გამოხატულია ყოველ სახეზე. ბუნებრივია, რუსეთში არავინ ფარავს იმ ფაქტს, რომ წითელმა არმიამ მძიმე ზარალი განიცადა ადამიანებისა და მასალების მხრივ თავისი ქლევამოსილი შეტევის დროს, მაგრამ ამავე დროს ყველამ იცის, თუ რა სწრაფად იქნა შეფასებული ეს ზარალი ჭრეწველობის უნარიანი რეორგანიზაციის მეოხებით, აგრეთვე კომუნიკაციების საუცხოო ორგანიზაციის მეოხებით. უეჭველია, საბჭოთა ორგანიზაციის, საბჭოთა მრეწველობისა და საბჭოთა იარაღის ყველა საუცხოო მიღწევა საკმარისი არ იქნებოდა, რომ ეს მიღწევები არ იყენებოდა, რომ ეს მიღწევები არ ეფარნინებოდა მორალურ საფუძველს, რომელიც მფლობელობს ნამდვილ საბჭოთა პატრიოტიზმში, არაჩვეულებრივ გამბედაობასა და გამარჯვების რწმენაში. იმის გულწრფელ რწმენაში, რომ გერმანელები დამარცხდებიან საბჭოთა მიწა-წყალზე, ამასთან აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველმა საბჭოთა ჯარისკაცმა იცის, რისთვის იბრძვის და რისთვის უნდა იბრძოდეს ომი ამ ოქროს გერმანელებზე სრულ გამარჯვებამდე.

კითხვა: როგორია თქვენი შეხედულება გერმანიის მომავალზე?

პასუხი: მე არ მინდა გავიმეორო ის, რაც ნათქვამი მაქვს წინანდელ სიტყვებში. მინდა მხოლოდ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყველა აუწერელი მტანჯველობა, რაც გერმანელებმა ევროპაში ჩაიდინეს, და დღემდე მიღებული გამოცდილება ცხადჰყოფს, თუ რამდენად ღრმად გაუდგამს გერმანელ ხალხში ფესვი მსოფლიო ბატონობის სურვილს. ამიტომ საჭიროა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებელი, არსებული საშუალება იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღმოვფხვრათ არა მარტო ნაციზმის, არამედ აგრეთვე გერმანიის ყოველნაირი იმპერიალიზმის საფრთხე, რა ფორმითაც უნდა იყოს. ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ ყველა მოდგმირენი იზიარებენ ამ აუცილებლობის რწმენას. ამ მხრივ თეირანმა ყველა გაერთიანებულ ერთა ღრმა კმაყოფილება გამოიწვია. პირადად მე მიეკუთვნები ყოველ გადაწყვეტილებას, რომელიც შესძლებდა ამ მიზნის მიღწევის უზრუნველყოფას. პრუსიის არმია ტოტალური ომის თავისი იდეით და ნაციზმი ცხოვრების თავისი ბარბაროსული კონცეპციით—ეს ევროპის ორი უდიდესი ბოროტებაა ყველა იმათგან, რომლებიც კი ჩვენ რამდენიმე უკანასკნელი საუკუნის ისტორიიდან ვიცით.

კითხვა: რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში გამოთქმული იყო ეარაუდი, რომ გაპარტახებული რაიონების აღსადგენად გამოყენებული იქნება გერმანელთა მუშახელი და მასალები. შეიძლება თუ არა განხორციელებულ იქნას ეს ჩეხოსლოვაკიაშიც?

პასუხი: მე მიმაჩნია, რომ მოთხოვნები გერმანელთა მუშახელისა და მასალების გამოყენებისა გაპარტახებული რაიონების აღსადგენად საკმაოდ საკვებით გამარჯვებულია, და ისინი უნდა გაგრძელდეს ევროპის ყველა ქვეყანაზე, რომლებიც გერმანელებმა გაეპარტახეს. შესაძლოა, ამ მიზნისათვის საჭირო გახდეს, რომ გერმანელთა რეპარაციების საკითხში დიფერენცირებული მიდგომა იყოს ყოველ ქვეყანაში. მაგრამ თვით რეკონსტრუქციის ინტერესებს გარდა, ძირითადი მიზანი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ უბრალო გერმანელმა დაინახოს და ზუსტად შეიგნოს, თუ რა ჩაიდინა გერმანიამ სხვა ერების მიმართ მთელ ევროპაში თავისი ეგრეთწოდებული ტოტალური ომით.

კითხვა: ხომ არ ხედავთ თქვენ რუსეთის ევროთანხმებულ პანსლავურ პოლიტიკაში იმას, რომ იგი იმპერიალიზმს დაუბრუნდა?

პასუხი: ჩეხეთ გამოსვლაში ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს წინაშე მე უკვე აღვნიშნე, თუ რა მიზეზებით სურს რუსეთს კარგი ურთიერთობა დაამყაროს ყველა თავის სლავ მეზობელთან. (შემდეგ ბენეშმა მოჰყავა თავისი სიტყვის ნაწილი, რომელიც ნათქვამია, რომ გერმანია ვერასოდეს ვერ გაბედავდა თავს დასხმოდა სსრ კავშირს, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას, ისინი რომ კავშირით ყოფილიყვნენ გაერთიანებულნი და მათ შორის ჰარმონიული თანამშრომლობა რომ ყოფილიყო).

კითხვა: ზოგიერთი ადამიანი, ეტყობა, ფიქრობს, რომ [illegible] ჩეხოსლოვაკიასა [illegible] დეპოკიდებულ მდგომარეობაში ჩააყენებს. რა შეიძლიათ სთქვათ ამაზე?

პასუხი: პატი, რომლის შესახებაც ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით სსრ კავშირთან, წარმოადგენს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის უშიშროების საფუძვლიან